



საარჩევნო სისტემების  
განვითარების, რეფორმებისა და  
სწავლების ცენტრი

# საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირების საგამოცდო ტესტები

მომზადებულია სსიპ საარჩევნო სისტემების  
განვითარების, რეფორმებისა და სწავლების  
ცენტრის მიერ

2023 წელი

## **ზოგადი ინფორმაცია**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 25<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, სერტიფიცირების საგამოცდო ტესტები მოიცავს საკითხებს მხოლოდ საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (შემდგომში - საარჩევნო კოდექსი) და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №3/2012 დადგენილებით დამტკიცებული საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტიდან.

მომზადდა 146 ტესტი (იმის გათვალისწინებით, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტში მოცემული რეგულაციები ძირითადად ემთხვევა საარჩევნო კოდექსის რეგულაციებს, ტესტების საფუძვლებში გამოტანილია მხოლოდ საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლები. გამონაკლისია ტესტი №19, რომლის საფუძვლად მითითებულია საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი, იმის გამო, რომ რეგულაცია დაზუსტებულია აღნიშნული კანონქვემდებარე აქტით).

სარჩევი

I თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის სტატუსი, საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი..... 3

II თავი. წინასაარჩევნო კამპანიასთან/ავიტაციასთან დაკავშირებული შეზღუდვები ..... 4

III თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის მდივნის უფლებამოსილება..... 5

IV თავი. საუბნო საარჩევნო კომისიაში საქმისწარმოების წესი ..... 6

V თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები ..... 6

VI თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებები ამომრჩეველთა სიებთან მიმართებით..... 7

VII თავი. ამომრჩეველთა ინფორმირება - ამომრჩევლის ბარათის დარიგება..... 8

VIII თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებები კენჭისყრის შენობის მოწყობისა და კენჭისყრის დღის მზადების პროცესში..... 9

IX თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს..... 9

X თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა ..... 24

XI თავი. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება ..... 27

XII თავი. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა 29

XIII თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენცია კენჭისყრის დღეს განცხადებების/ საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით ..... 30

XIV თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის/ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის ზომები..... 31

## I თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის სტატუსი, საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა არის სწორი?
  - საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელიც იქმნება ცესკოსა და ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული/არჩეული პირებისაგან.
  - საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანო, რომელიც იქმნება საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული სუბიექტებისაგან, ცესკოსა და ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული/არჩეული პირებისაგან. (26.1)
  - საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანო, რომელიც იქმნება მხოლოდ ცესკოს მიერ დანიშნული პირებისაგან.
  - საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელიც იქმნება მხოლოდ ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული პირებისაგან.
2. რამდენი წევრისაგან შედგება საუბნო საარჩევნო კომისია?
  - არაუმეტეს 17 წევრისაგან. (24.1)
  - არაუმეტეს 13 წევრისაგან.
  - არაუმეტეს 14 წევრისაგან.
  - არაუმეტეს 12 წევრისაგან.
3. საუბნო საარჩევნო კომისიის:
  - 8 წევრს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო 9 წევრს ნიშნავენ წევრის დანიშვნის უფლების მქონე პოლიტიკური პარტიები (24.1)
  - 9 წევრს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო 8 წევრს ნიშნავენ წევრის დანიშვნის უფლების მქონე პოლიტიკური პარტიები.
  - 17 წევრს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია.
  - 17 წევრს ნიშნავენ წევრის დანიშვნის უფლების მქონე პოლიტიკური პარტიები.
4. რომელი მსჯელობაა სწორი?
  - საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. (24.2)
  - საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს საუბნო საარჩევნო კომისიის პირველივე სხდომაზე ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია.
  - საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ნიშნავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
  - საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს ნიშნავს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
5. რომელი მსჯელობაა სწორი?

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სერტიფიკატი არ მოეთხოვება:

  - იმ პირს, რომელსაც აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.
  - იმ პირს, რომელსაც აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის სერტიფიკატი.

- უფლებამოსილი პარტიის მიერ დანიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს.

- ყველა პასუხი სწორია. (24.5<sup>1</sup>)

6. რომელი მსჯელობაა სწორი?

კონკურსში მონაწილე პირს საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის სერტიფიკატი არ მოეთხოვება იმ შემთხვევაში, თუ:

- აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი ( 25<sup>1</sup>.6; 196<sup>5</sup>).
- აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სერტიფიკატი.
- აქვს საჯარო მოხელის სერტიფიკატი.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

7. რომელი მსჯელობაა სწორი:

- აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე ბოლო 25 დღის განმავლობაში.
- აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე ბოლო 35 დღის განმავლობაში.
- აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე ბოლო 30 დღის განმავლობაში.
- აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე ბოლო 20 დღის განმავლობაში. (29.9)

8. როდის იწყებს ფუნქციონირებას ახალშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია?

- არჩევნების დღემდე 30-ე დღიდან. (25.14)
- არჩევნების დღემდე 35-ე დღიდან.
- არჩევნების დღემდე მე-40 დღიდან.
- არჩევნების დღემდე 34-ე დღიდან.

9. როდის წყდება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილებები?

- კომისიის შექმნიდან არაუგვიანეს 25-ე დღისა.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე. (25.14)
- კომისიის შექმნიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.

## II თავი. წინასაარჩევნო კამპანიასთან/აგიტაციასთან დაკავშირებული შეზღუდვები

10. არის თუ არა საარჩევნო კომისიის წევრი მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი?

- დიახ, საარჩევნო კომისიის წევრი არის მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი.
- არა, საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი. (8.21)
- დიახ, საარჩევნო კომისიის წევრი არის მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი და ასრულებს მის უშუალო დავალებებს.
- არა, საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი სუბიექტის წარმომადგენელი, გარდა პარტიის მიერ არჩეული წევრებისა.

11. რომელი მსჯელობაა სწორი:

- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს. (45.4.ა)
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვთ პარტიების მიერ დანიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს.
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს.

### III თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის მდივნის უფლებამოსილება

12. საუბნო საარჩევნო კომისიის საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის პასუხისმგებელი პირია:

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი. (27.3.ბ)
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

13. საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე შესულ კორესპონდენციას იღებს და ანაწილებს:

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. (27.1.გ)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

14. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თავმჯდომარის დავალებით მის მოვალეობას ასრულებს:

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. (8.24)
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის უხუცესი წევრი.

15. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებას არ მიეკუთვნება:

- სრული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში. (27.1.ა)
- კომისიის განკარგულებათა პროექტების მომზადება.
- საჯარო ინფორმაციის გაცემა.
- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის წარმოება.

16. საუბნო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბიულეტენების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისათვის პირადად პასუხს აგებენ:

- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და სამეურნეო სამსახურის უფროსი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. (63.6)

#### IV თავი. საუბნო საარჩევნო კომისიაში საქმისწარმოების წესი

17. საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რა დრომდე ახორციელებს საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, გაცემასა და რეგისტრაციას?

- სამუშაო დღის 18:30 საათამდე.
- სამუშაო დღის 18:15 საათამდე.
- სამუშაო დღის 18:45 საათამდე.
- სამუშაო დღის 18:00 საათამდე. (8.10)

18. საუბნო საარჩევნო კომისიისგან რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი ადასტურებს:

- კომისიის სხდომის ოქმზე ხელმოწერით.
- ჩანაწერთა წიგნზე ხელმოწერით.
- სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით. (8.12)
- ყველა პასუხი სწორია.

19. ვინ ახორციელებს საუბნო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის, განცხადებების, საჩივრების მიღებას, გაცემასა და მათ აღრიცხვა-რეგისტრაციას (გარდა კენჭისყრის დღისა)?

- კომისიის მდივანი, ან კომისიის მდივნის არყოფნის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით საუბნო საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრი. (საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - 11.1)
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ან კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით საუბნო საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრი.
- კომისიის მდივანი, ან როდესაც შეუძლებელია მდივნის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება, ფუნქციას ასრულებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- კომისიის თავმჯდომარე, რადგან მხოლოდ თავმჯდომარეა პასუხისმგებელი საუბნო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის, განცხადებების, საჩივრების მიღებას, გაცემასა და მათ აღრიცხვა-რეგისტრაციაზე.

#### V თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები

20. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ვის კომპეტენციაში შედის საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებათა პროექტების მომზადება?

- საუბნო საარჩევნო კომისიის თანაშემწის.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის. (27.3.ა)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის.

21. ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება საუბნო საარჩევნო კომისიის სამართლებრივ აქტს?

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება.
- საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.
- ყველა პასუხი სწორია. (30.1.გ)

22. როდის და სად უნდა გამოიფინოს საუბნო საარჩევნო კომისიისა და მისი თავმჯდომარის ნებისმიერი განკარგულება?

- მეორე დღესვე გამოიფინება საარჩევნო უბანში. (26.3)
- არ გამოიფინება საარჩევნო უბანში.
- მესამე დღეს გამოიფინება საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში.
- მეორე დღესვე ქვეყნდება ადგილობრივი მასმედიის საშუალებით.

## VI თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებები ამომრჩეველთა სიებთან მიმართებით

23. ვის ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველთა სიების და მათთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული წესი არ არის გამოკრული საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობაში?

- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. (34.1)
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- ცესკოს.

24. როგორ უნდა მოიქცეს ამომრჩეველი, თუ მას კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლა არ შეუძლია?

- უნდა მიმართოს ცესკოს კენჭისყრის დღის წინა დღის 18 საათამდე გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით.
- უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე მაინც გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით.
- უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 8 დღისა. (33.2)
- უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღის წინა დღის 18 საათამდე გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით.

25. რომელი მსჯელობაა სწორი?

იმ ამომრჩეველების რაოდენობა, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ კენჭისყრის შენობაში მისვლა, არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩეველების 3 პროცენტს. აღნიშნული რაოდენობის შევსების შემდეგ ამომრჩეველთა გადასატანი ყუთის სიაში შეყვანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:

- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. (33.4)
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

26. ჩამოთვლილთაგან რა შემთხვევაში შეჰყავთ ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში?

- ამომრჩეველი იმყოფება საზღვარგარეთ.
- ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრია.
- ამომრჩეველი იმყოფება პატიმრობაში. (33.1.ბ)
- ამომრჩეველი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრია.

27. ჩამოთვლილთაგან რა შემთხვევაში შეჰყავთ ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში?
- თუ ამომრჩეველი იძულებით გადაადგილებული პირია.
  - თუ ამომრჩეველი მსახურობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში ან სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული. (33.1.დ.ა)
  - თუ ამომრჩეველი საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეა.
  - თუ ამომრჩეველი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოხელეა.
28. სად აღინიშნება ამომრჩევლის გადაყვანა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში და ვის მიერ უნდა იქნას ის დადასტურებული?
- ამომრჩეველთა ერთიან სიაში, რაც დასტურდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ხელმოწერებით.
  - ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, რაც დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით. (33.2.ბ)
  - ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში, რაც დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ხელმოწერებით.
  - ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, რაც დასტურდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.

## VII თავი. ამომრჩეველთა ინფორმირება - ამომრჩევლის ბარათის დარიგება

29. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
- საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 2 დღისა გადასცემს ამომრჩევლის ბარათს. (35.1)
  - საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 1 დღისა გადასცემს ამომრჩევლის ბარათს.
  - საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 12 საათისა გადასცემს ამომრჩევლის ბარათს.
  - საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ ყველა ამომრჩეველს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 8 საათისა გადასცემს ამომრჩევლის ბარათს.
30. სავალდებულოა თუ არა ამომრჩევლის ბარათის ქონა კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად?
- სავალდებულოა, რადგან ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს.
  - არ არის სავალდებულო, რადგან ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა არ წარმოადგენს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის საფუძველს. (35.2)
  - სავალდებულოა მხოლოდ უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეთათვის.
  - არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

## VIII თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებები კენჭისყრის შენობის მოწყობისა და კენჭისყრის დღის მზადების პროცესში

31. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია არასწორი?

- ყოველი 300 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 1 ხმის მისაცემი ადგილი. (58.4.ა)
- ყოველი 500 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 1 ხმის მისაცემი ადგილი.
- კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას უნდა იდგეს გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი.
- კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი.

32. თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ:

- უნდა გავრცელდეს მხოლოდ სატელევიზიო სივრცეში.
- თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას მხოლოდ კენჭისყრის კაბინაში.
- თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას კენჭისყრის შენობასა და ფარული კენჭისყრის კაბინებში. (58.5)
- უნდა გამოიკრას იმ ადგილას, რომელსაც განსაზღვრავს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია.

33. როგორია საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გადაცემის წესი?

- გადასცემს ცესკო კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს მე-2 დღისა.
- გადასცემს ცესკო კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა.
- გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს მე-2 დღისა.
- გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა. (63.9)

34. რამდენ ცალად უნდა შედგეს მიღება-ჩაბარების აქტი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისთვის საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გადაცემისას?

- ორ ცალად. (63.10)
- სამ ცალად.
- ოთხ ცალად.
- ხუთ ცალად.

## IX თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს

35. ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის ჩატარებისას, რომელ საათზე იხსნება საარჩევნო უბანი?

- 06:45 საათზე. (76<sup>4</sup>.2.ა)
- 07:45 საათზე.
- 08:00 საათზე.
- 07:30 საათზე.

36. კენჭისყრის დღეს კანონით დადგენილ დროს გაიხსნა საარჩევნო უბანი. უბნის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომისიის წევრთა რაოდენობა იყო 9-ზე ნაკლები. ვის და რა ვადაში უნდა მიაწოდოს საუბნო საარჩევნო კომისიამ ინფორმაცია აღნიშნული ფაქტის შესახებ?

- დაუყოვნებლივ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- დაუყოვნებლივ ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას. (61.1)
- ფაქტის გამოვლენიდან 2 საათის განმავლობაში ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- დაუყოვნებლივ ცესკოს.

37. ჩამოთვლილთაგან ვინ არ მონაწილეობს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის დღეს კომისიის წევრთა ფუნქციების გასანაწილებლად ჩასატარებელ წილისყრებში?

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- ყველა პასუხი სწორია. (61.2.გ)

38. რომელი პასუხია მცდარი?

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოავლენს:

- სპეციალური კონვერტის კომისიის ბეჭდით დამმოწმებელ კომისიის წევრს. (61.2.დ; 61.2.ე)
- კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებ კომისიის წევრებს.
- ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრებს.

39. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის გამოსავლენ წილისყრაში მონაწილეობენ:

- საუბნო საარჩევნო კომისიაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული წევრები. (61.2<sup>1</sup>)
- საუბნო საარჩევნო კომისიაში პარტიების მიერ დანიშნული წევრები.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.

40. როგორ განისაზღვრება გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრების ვინაობა?

- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრების ვინაობა განისაზღვრება წილისყრით. (61.2.დ)
- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრების ვინაობა განისაზღვრება საარჩევნო კომისიის წევრებს შორის სახელობითი კენჭისყრით.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრების ვინაობა განისაზღვრება თავიანთი სურვილისამებრ.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებ კომისიის წევრებად განისაზღვრება ასაკით უზუცესი კომისიის წევრები.

41. კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისთვის შეიძლება მხოლოდ:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის ნებართვით.

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით. (61.2.ზ)

42. ვინ წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრისათვის ფუნქციების მინიჭების საკითხს, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ?

- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. (61.4)
- საოლქო საარჩევნო კომისია.

43. განვიხილოთ მოცემულობა - საარჩევნო უბანზე კენჭისყრის ჩატარება გათვალისწინებულია ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე. აღნიშნულ უბანზე არჩევნების დღეს, ხმის მიცემის პროცედურის დაწყებამდე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამომრჩეველთა თითოეულ რეგისტრატორს გადასცა ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის ორ-ორი ბლოკნოტი. დაირღვა თუ არა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა?

- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა დაირღვა, ვინაიდან ამომრჩეველთა თითოეულ რეგისტრატორს უნდა გადაეცეს ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის თითო ბლოკნოტი. (61.7)
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა არ დაირღვა, ვინაიდან ამომრჩეველთა თითოეულ რეგისტრატორს უნდა გადაეცეს ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის ორ-ორი ბლოკნოტი.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა დაირღვა, ვინაიდან ამომრჩეველთა თითოეულ რეგისტრატორს უნდა გადაეცეს ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის სამ-სამი ბლოკნოტი.
- საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა დაირღვა, ამომრჩეველთა რეგისტრატორებს არ უნდა გადაეცეთ საარჩევნო ბიულეტენის ბლოკნოტები, ვინაიდან საარჩევნო ბიულეტენი ამომრჩეველს უნდა გადასცეს კომისიის თავმჯდომარემ.

44. ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის ჩატარებისას ვინ აწერს ხელს საარჩევნო ყუთში მოსათავსებელ საკონტროლო ფურცლებს?

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და პირველი ამომრჩეველი.
- პირველი ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. (61.10)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.
- მხოლოდ პირველი ამომრჩეველი.

45. ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის ჩატარებისას, საკონტროლო ფურცელი ივსება:

- ერთ ეგზემპლარად.
- 2 ეგზემპლარად.
- 3 ეგზემპლარად. (61.10)
- 4 ეგზემპლარად.

46. ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის ჩატარებისას ავსებს თუ არა საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ყუთში მოსათავსებელ საკონტროლო ფურცელს?

- დიახ, ავსებს ერთ ეგზემპლარად.
- დიახ, ავსებს ორ ეგზემპლარად.
- დიახ, ავსებს სამ ეგზემპლარად.
- არა, საკონტროლო ფურცელი არ ივსება. (76<sup>4</sup>.2.გ)

47. ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის ჩატარებისას, ვინ არის პასუხისმგებელი საარჩევნო ყუთში მოსათავსებელი შევსებული საკონტროლო ფურცლის მესამე ეგზემპლარის შენახვაზე, რომელიც გამოიყენება შემდგომში საკონტროლო ფურცლის სხვა ეგზემპლარებთან შედარების მიზნით:

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. (61.10)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისია.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.

48. ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის ჩატარებისას, ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებში საკონტროლო ფურცლები თავსდება:

- საარჩევნო უბნის გახსნისთანავე.
- კომისიის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებისთანავე.
- კენჭისყრის დღის 8 საათზე.
- პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ. (61.10)

49. ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის ჩატარებისას ვინ არის პასუხისმგებელი ძირითადი საარჩევნო ყუთის დალუქვაზე?

- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. (76<sup>6</sup>.1.გ)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.

50. ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის ჩატარებისას საარჩევნო ყუთების დალუქვის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ბეჭდავს:

- ამონაწერს, რომელიც ადასტურებს, რომ იმ დროისთვის ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის საშუალებით ხმა მხოლოდ პირველმა ამომრჩეველმა მისცა.
- ამონაწერს, რომელიც ადასტურებს ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში საკონტროლო ფურცლის არსებობას.
- ამონაწერს, რომელიც ადასტურებს, რომ იმ დროისთვის ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის საშუალებით არცერთ ამომრჩეველს ხმა არ მიუცია. (76<sup>6</sup>.1.დ)
- ამონაწერს, რომელიც ადასტურებს საარჩევნო უბანზე კომისიის წევრთა ყოფნის ფაქტს.

51. ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის ჩატარებისას, ჩანაწერთა წიგნში ცარიელი საარჩევნო ყუთების დალუქვას და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ამობეჭდილ „ნულოვან ამონაწერში“ მოცემულ ინფორმაციას ადასტურებენ:

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. (76<sup>6</sup>.1.ე)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

52. ვინ აწერს ხელს ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ამობეჭდილ წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერს?

- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. (76<sup>4</sup>.3)
- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

53. ვისი თანდასწრებით ააქტიურებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატს/აპარატებს?

- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით. (76<sup>6</sup>.1.ა)
- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა თანდასწრებით.
- მხოლოდ დამკვირვებლების თანდასწრებით.
- მხოლოდ მედიის წარმომადგენლების თანდასწრებით.

54. რომელი მსჯელობაა სწორი - ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩეველთა სია:

- გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას სადემონსტრაციო ოქმთან ერთად. (76<sup>6</sup>.1.ბ)
- არ გამოიკვრება და ინახება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.
- გადაეცემა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს.
- ინახება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან.

55. ვინ არის ვალდებული, აღრიცხოს კენჭისყრის დღის ყველა საარჩევნო პროცედურა და მიუთითოს მათი განხორციელების დრო ჩანაწერთა წიგნში?

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი კომისიის თავმჯდომარესთან ერთად. (62.3)
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები.

56. როდის უნდა გაიხსნას კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი?

- საარჩევნო უბნის გახსნიდან არა უგვიანეს 3 საათისა.
- საარჩევნო უბნის გახსნამდე 3 საათით ადრე.
- საარჩევნო უბნის გახსნისთანავე. (61.2.ა)
- საარჩევნო უბნის გახსნიდან არა უგვიანეს 2 საათისა.

57. საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ჩაატარა წილისყრა კომისიის წევრთა შორის ფუნქციების განაწილების თაობაზე. წილისყრის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ წილისყრის შედეგები ჩაწერა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. სწორად მოიქცა თუ არა კომისიის თავმჯდომარე?

- დიახ, რადგან კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ასეთი ჩანაწერის გაკეთების უფლება ჰქონდა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
- არა, რადგან კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ასეთი ჩანაწერის გაკეთების უფლება ჰქონდა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.
- არა, რადგან კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში მონაცემები შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს. (61.2.ვ)
- არა, რადგან კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ასეთი ჩანაწერის გაკეთების უფლება ჰქონდა კომისიის იმ წევრს, რომელსაც წილისყრის შედეგებით დაევალა ამ წიგნის წარმოება.

58. კენჭისყრა იმართება კენჭისყრის შენობაში არჩევნების (კენჭისყრის) დღის:

- 07:00 საათიდან 20:00 საათამდე.

- 08:00 საათიდან 20:00 საათამდე. (60.1)
- 07:30 საათიდან 20:00 საათამდე.
- 08:30 საათიდან 20:00 საათამდე.

59. როგორც წესი საუბნო საარჩევნო კომისიის რომელი წევრი ამოწმებს ამომრჩეველთა მარკირებას?

- საუბნო საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი. (65.2.ა; 61.2.ე.ა)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

60. ამომრჩეველის მიერ წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში აღნიშნული ამომრჩეველის სარეგისტრაციო მონაცემები შეესაბამება ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს, მაგრამ ამომრჩეველთა რეგისტრატორმა ამ ამომრჩეველის სახე და წარდგენილ დოკუმენტში ან ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მსჯელობა არის სწორი?

- ამომრჩეველთა რეგისტრატორი ამომრჩეველს სთხოვს დატოვოს კენჭისყრის შენობა.
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი ინიშნავს აღნიშნულ ფაქტს და ამომრჩეველზე გასცემს საარჩევნო ბიულეტენს.
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესრულების შემდეგ, ამომრჩეველს მისცემს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. (65.2<sup>1</sup>)
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესრულების შემდეგ, ამომრჩეველს სთხოვს დატოვოს კენჭისყრის შენობა, ვინაიდან ამომრჩეველს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

61. საუბნო საარჩევნო კომისიის რომელი წევრი ახორციელებს ამომრჩეველის მარკირებას?

- ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი. (65.2.ბ)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

62. რა დროს ხდება საარჩევნო უბანში ამომრჩეველის მარკირება?

- სარეგისტრაციო მაგიდასთან, საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების მიღებამდე. (64.3)
- რეგისტრაციის გავლისა და საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების მიღების შემდეგ.
- საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების შევსების წინ.
- საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების შევსების შემდეგ, სპეციალური კონვერტის მიღებისას.

63. ამომრჩეველს, რომელმაც მარკირების პროცედურის გავლაზე თქვა უარი, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება:

- არ აქვს. (64.3)
- აქვს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.
- აქვს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.

- აქვს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.

64. საარჩევნო უბანზე, სადაც კენჭისყრის ჩატარება არ არის გათვალისწინებული ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების მიღებას ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს:

- ჩანაწერთა წიგნში.
- სარეგისტრაციო ჟურნალში.
- ამომრჩეველთა სიაში. (63.23)
- სადემონსტრაციო ოქმში.

65. რომელი მსჯელობაა სწორი?

საარჩევნო უბანზე, სადაც კენჭისყრის ჩატარება გათვალისწინებულია ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე:

- საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების გაცემისას მის/მათ წინა გვერდზე სათანადო გრაფაში ხელს აწერს და საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს სპეციალური ბეჭდით ამოწმებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების გაცემისას მის/მათ წინა გვერდზე სათანადო გრაფაში ხელს აწერს და საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს სპეციალური ბეჭდით ამოწმებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების გაცემისას მის/მათ წინა გვერდზე სათანადო გრაფაში ხელს აწერს და საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს სპეციალური ბეჭდით ამოწმებს ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი. (65.2.ბ)
- საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების გაცემისას მის/მათ წინა გვერდზე სათანადო გრაფაში ხელს აწერს და საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს სპეციალური ბეჭდით ამოწმებს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.

66. საუბნო საარჩევნო კომისიის რომელი წევრი მიუთითებს ამომრჩეველს, ხელი მოაწეროს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილ ამომრჩეველის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარზე?

- ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი. (76<sup>6</sup>.1.ზ)
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- კომისიის თავმჯდომარე.
- ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი.

67. თუ ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, ვისი მიწვევის უფლება აქვს დასახმარებლად ფარული კენჭისყრის კაბინაში?

- სხვა ამომრჩეველის. (65.3)
- დამკვირვებლის.
- საარჩევნო კომისიის წევრის.
- დაუშვებელია ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად ვინმეს მიწვევა.

68. თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები, მან ეს უნდა აცნობოს:

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. (65.4)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

- საუბნო საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა რეგისტრატორ წევრს.
- საუბნო საარჩევნო კომისიის საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს.

69. რომელი მსჯელობაა სწორი?

- კენჭისყრისას გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „დაზიანებულია“, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.
- კენჭისყრისას გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „გაფუჭებულია“, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება. (65.4)
- კენჭისყრისას გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „გაბათილებულია“, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.
- კენჭისყრისას გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „გამოუყენებელია“, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.

70. სწორია თუ არა მსჯელობა?

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ, ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელთ აქვს მხოლოდ კანონით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი.

- დიახ, ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა. (65.5)
- დიახ, თუმცა ამომრჩეველი არ არის ვალდებული შეასრულოს ეს მოთხოვნა.
- არა, რადგან ამით შეიძლება დაირღვეს ხმის მიცემის ფარულობა.
- არა, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს არა აქვთ ამის უფლება.

71. მოცემულ მსჯელობათაგან, რომელია სწორი?

- საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა. (65.2.დ)
- საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი და ამით დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად ამომრჩეველი უარს აცხადებს ხმის მიცემის ფარულობაზე.
- საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი და ამით დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად ამომრჩეველი უარს აცხადებს ხმის მიცემის ფარულობაზე და ეს შეთანხმებულია შესაბამისი კომისიის თავმჯდომარესთან.
- საარჩევნო კომისიის წევრს უფლება აქვს, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი და ამით კიდევ უფრო უზრუნველყოს კენჭისყრის გამჭვირვალობა.

72. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს:

- უფლება აქვს გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი, თუ მიიჩნევს, რომ ამომრჩეველს არასწორად აქვს შევსებული საარჩევნო ბიულეტენი.
- უფლება აქვს გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

- უფლება აქვს გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.
- არ აქვს უფლება გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი. (65.2.დ)

73. რომელი მსჯელობაა სწორი?

- კენჭისყრის დროს საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება. (65.2.ე)
- კენჭისყრის დროს საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ორზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.
- კენჭისყრის დროს კომისიის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.
- კენჭისყრის დროს კომისიის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ორზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.

74. რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება იმყოფებოდეს ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში?

- შესვლიდან 5 წუთის განმავლობაში.
- შესვლიდან 7 წუთის განმავლობაში.
- შესვლიდან 10 წუთის განმავლობაში, რომელიც შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს საჭიროების შემთხვევაში.
- ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში (60.5)

75. ხმის მიცემის პროცედურებიდან რომელ პროცედურას გადის ამომრჩეველი პირველ რიგში?

- ამომრჩევლის მარკირებას.
- საარჩევნო ბიულეტენის მიღებას.
- ამომრჩევლის მარკირების შემოწმებას. (65.2)
- ამომრჩევლის ფოტოსურათის შესაბამისობის დადგენას ამომრჩევლის მიერ წარდგენილ დოკუმენტში და ამომრჩეველთა სიაში.

76. კენჭისყრის დღეს კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ 12 საათისა და 17 საათის მონაცემები შეიტანება:

- სადემონსტრაციო ოქმში. (76<sup>6</sup>.1.თ; 65.6)
- საჩივრების რეესტრში.
- სარეგისტრაციო ჟურნალში.
- არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

77. თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა:

- საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე. (65.7)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თავისი განკარგულებით აჩერებს კენჭისყრის პროცესს და მხოლოდ ცესკოს განკარგულების შედეგად იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების საკითხის თაობაზე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თავისი განკარგულებით აჩერებს კენჭისყრის პროცესს და მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების შედეგად იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების საკითხის თაობაზე.

- საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების საკითხის თაობაზე.

78. კენჭისყრის პროცედურა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით იმართება:

- დღის 7 საათიდან საღამოს 18 საათამდე.
- დღის 8 საათიდან საღამოს 18 საათამდე.
- დღის 9 საათიდან საღამოს 19 საათამდე. (66.1)
- დღის 10 საათიდან საღამოს 20 საათამდე.

79. საარჩევნო უბანზე კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ჩატარების შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის რამდენი წევრი მონაწილეობს გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას კენჭისყრის ჩატარებაში?

- საარჩევნო კომისიის 1 წევრი.
- საარჩევნო კომისიის 2 წევრი. (66.4)
- საარჩევნო კომისიის 3 წევრი.
- საარჩევნო კომისიის 4 წევრი.

80. ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის ჩატარებისას:

- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები საარჩევნო კომისიის წევრები თავად აწერენ ხელს და სპეციალური ბეჭდით ამოწმებენ საარჩევნო ბიულეტენსა და სპეციალურ კონვერტს.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ საარჩევნო კომისიის წევრებს თავმჯდომარის მიერ გადაეცემათ სპეციალური კონვერტები და ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის მიერ ხელმოწერილი საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ საარჩევნო კომისიის წევრებს თავმჯდომარის მიერ გადაეცემათ სპეციალური კონვერტები და ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და სპეციალური ბეჭდით დამოწმებული საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები. (66.3)
- არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.

81. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას ავტომატური გამოყენების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია:

- უფლებამოსილია გამოყოს ადგილი ავტომატურად კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურისათვის.
- ვალდებულია გამოყოს ადგილი ავტომატურად კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურისათვის. (66.5)
- უფლებამოსილია გამოყოს ადგილი ავტომატურად კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან წილისყრით გამოვლენილი 3 მეთვალყურისათვის.
- ვალდებულია გამოყოს ადგილი ავტომატურად კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან წილისყრით გამოვლენილი 3 მეთვალყურისათვის.

82. როგორ განისაზღვრება კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებიდან გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარებაში მონაწილე მეთვალყურეების ვინაობა?

- მეთვალყურეების ვინაობა განისაზღვრება კენჭისყრის დროს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შორის ფარული კენჭისყრით.

- მეთვალყურეების ვინაობა განისაზღვრება კენჭისყრის დროს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შორის სახელობითი კენჭისყრით.
- მეთვალყურეების ვინაობა განისაზღვრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ.
- მეთვალყურეების ვინაობა განისაზღვრება კენჭისყრის დროს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან თავიანთი სურვილისამებრ. (66.4)

83. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი:

- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესი ითვალისწინებს ამომრჩევლის მარკირების პროცედურას ამომრჩევლის თანხმობის შემთხვევაში.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესი ითვალისწინებს ამომრჩევლის მარკირების პროცედურას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესი ითვალისწინებს ამომრჩევლის მარკირების პროცედურას. (66.7)
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესი არ ითვალისწინებს ამომრჩევლის მარკირების პროცედურას.

84. რომელი მსჯელობაა სწორი?

- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრა სრულდება კენჭისყრის დღის 19 საათზე, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი კენჭისყრის დამთავრებისას ილუქება იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა. (66.1; 66.10)
- გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრა მთავრდება კენჭისყრის დღის 19 საათზე, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთი კენჭისყრის დამთავრებისას აღარ ილუქება.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრა მთავრდება კენჭისყრის დღის 18 საათზე, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთი კენჭისყრის დამთავრებისას ილუქება იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრა სრულდება კენჭისყრის დღის 20 საათზე, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი კენჭისყრის დამთავრებისას ილუქება იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა.

85. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, კენჭისყრის დღეს რომელ საათზე უნდა დაბრუნდეს გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში?

- არაუგვიანეს 20 საათისა. (66.1)
- არაუგვიანეს 21 საათისა.
- არაუგვიანეს 19 საათისა.
- არაუგვიანეს 18 საათისა.

86. როდის აცხადებს დამთავრებულად კენჭისყრას საუბნო საარჩევნო კომისია ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში?

- 20 საათზე, ვინაიდან კენჭისყრა ყველა უბანში მთავრდება ერთსა და იმავე დროს.
- 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა. (60.6)
- 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილი ამომრჩევლების ნახევარზე მეტმა.
- საარჩევნო უბნები ძნელად მისადგომ ადგილებში საერთოდ არ იქმნება.

87. როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საუბნო საარჩევნო კომისიამ იმ ამომრჩევლებთან დაკავშირებით, რომლებმაც კენჭისყრის შენობის დაკეტვამდე ვერ მოასწრეს ხმის მიცემა?
- ამომრჩევლებს უნდა დაატოვებინონ შენობა ხმის მიცემის გარეშე.
  - კომისიის ერთ-ერთი წევრის მიერ უნდა აღირიცხოს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარები და სახელები და მხოლოდ მათ უნდა მიეცეთ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. (65.8)
  - კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით მიიღონ გადაწყვეტილება მეორე დღეს კენჭისყრის გამართვის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას მხოლოდ კენჭისყრის შეწყვეტის მომენტში რიგში მდგომი ამომრჩევლები მიიღებენ.
  - ამომრჩევლებს მისცენ შესაძლებლობა გააკეთონ არჩევანი, გააგრძელონ რიგში დგომა, თუ არჩევნებში მონაწილეობისთვის გამოცხადდნენ მეორე დღეს.
88. ვინ ასრულებს ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში ვერიფიკაციის პროცესს კენჭისყრის დასრულებისთანავე?
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. (76<sup>6</sup>.1.ი)
  - საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
  - საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
  - ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი.
89. გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული საარჩევნო ბიულეტენების ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსების პროცედურის დასრულების შემდეგ, ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბეჭდავს:
- წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერს. (76<sup>6</sup>.1.ლ)
  - საბოლოო შედეგების შესახებ ამონაწერს.
  - პირობითი შედეგების შესახებ ამონაწერს.
  - შუალედური შედეგების შესახებ ამონაწერს.
90. ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერის დაბეჭდვის შემდეგ:
- საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გრძელდება ხმების დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურები. (76<sup>6</sup>.1.ლ,მ)
  - ხმების დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა დასრულებულად ითვლება.
  - საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გრძელდება ხმების დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურები.
  - ხმების დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურები გრძელდება ხმის დათვლის ცენტრებში.
91. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წილისყრით რამდენი მთვლელი უნდა შეარჩიოს?
- არანაკლებ 3 მთვლელი. (67.1)
  - არაუმეტეს 3 მთვლელი.
  - არანაკლებ 2 მთვლელი.
  - არაუმეტეს 2 მთვლელი.
92. რომელი მსჯელობაა სწორი?

- კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ბიულეტენების დათვლის პროცესზე დასაკვირვებლად დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არაუმეტეს 3 მეთვალყურეს.
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ბიულეტენების დათვლის პროცესზე დასაკვირვებლად დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არაუმეტეს 4 მეთვალყურეს.
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ბიულეტენების დათვლის პროცესზე დასაკვირვებლად დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არაუმეტეს 2 მეთვალყურეს. (67.1)
- დამკვირვებლებს უფლება არ აქვთ, ბიულეტენების დათვლის პროცესზე დაკვირვებისთვის თავიანთი შემადგენლობიდან გამოავლინონ მეთვალყურეები.

93. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით ვერ შეარჩევენ ბიულეტენების დათვლის პროცესზე მეთვალყურე დამკვირვებლებს?

- მეთვალყურეებს წილისყრით გამოავლენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. (67.1)
- მეთვალყურეებად თავმჯდომარე აირჩევს ასაკით უხუცეს დამკვირვებლებს.
- მეთვალყურეებს სახელობითი კენჭისყრის საფუძველზე აირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია.
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

94. რომელი მსჯელობაა სწორი?

- საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები არ მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში.
- საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს ერთ წარმომადგენელს, რომლებიც მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში.
- საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 2 წარმომადგენელს, რომლებიც მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში. (67.2)
- საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 3 წარმომადგენელს, რომლებიც მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში.

95. რომელი მსჯელობაა სწორი?

- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს კომისიის მდივანი ჩამოაჭრის კუთხეს, შეკრავს ცალკე პაკეტად და თითოეულ პაკეტზე მიუთითებს საარჩევნო უბნის დასახელებას, ნომერს და საარჩევნო ბიულეტენის სახეს. (67.4)
- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს კომისიის მდივანი დამკვირვებლების თანდასწრებით გაანადგურებს.

- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს კომისიის თავმჯდომარის მიერ შერჩეული ხმების მთვლელები ჩამოაჭრიან კუთხეს, შეკრავენ ცალკე პაკეტებად და თითოეულ პაკეტზე მიუთითებენ საარჩევნო უბნის დასახელებას, ნომერს და საარჩევნო ბიულეტენის სახეს.
- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს კომისიის თავმჯდომარის მიერ შერჩეული ხმების მთვლელები გაანადგურებენ დამკვირვებლების თანდასწრებით.

96. ვინ აწერს ხელს ცალ-ცალკე პაკეტებად შეკრულ და დალუქულ გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს?

- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- მთვლელები და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. (67.5)
- მხოლოდ მთვლელები.
- დამკვირვებლები.

97. შესაძლებელია თუ არა კენჭისყრის შედეგების შეჯამება, თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა?

- არა, თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება დაუშვებელია.
- არა, თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- დიახ, თუ საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. (68.2)
- დიახ, ვინაიდან საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობის დარღვევა არ წარმოადგენს ხელშემშლელ პირობას კენჭისყრის შედეგების შეჯამებისას.

98. რომელი მსჯელობაა სწორი?

- საარჩევნო უბნის დახურვის შემდეგ თავდაპირველად იხსნება სპეციალური საარჩევნო ყუთი, შემდეგ გადასატანი საარჩევნო ყუთი.
- საარჩევნო უბნის დახურვის შემდეგ თავდაპირველად იხსნება გადასატანი საარჩევნო ყუთი, შემდეგ ძირითადი საარჩევნო ყუთი. (68.4)
- საარჩევნო უბნის დახურვის შემდეგ თავდაპირველად იხსნება ძირითადი საარჩევნო ყუთი, შემდეგ გადასატანი საარჩევნო ყუთი.
- საარჩევნო ყუთების გახსნის რიგითობა არ არის განსაზღვრული.

99. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ გადასატან საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდება?

- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება „ბათილია“ და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას. (68.4)
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება „გაუქმებულია“ და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება „ბათილია“ და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ცესკოს.
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება „გაუქმებულია“ და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ცესკოს.

100. რა შედეგი მოჰყვება ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსებულ საკონტროლო ფურცელსა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შენახულ საკონტროლო ფურცელს შორის განსხვავების გამოვლენას?

- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას. (68.5)
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს.
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი განადგურდება.
- ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა ცესკოს.

101. საარჩევნო უბანზე, სადაც კენჭისყრა ტარდება ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე, დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:

- იგი დამოწმებული არ არის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბეჭდით.
- იგი დამოწმებული არ არის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.
- იგი დამოწმებული არ არის ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით. (69.3.ა)
- იგი დამოწმებული არ არის საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდითა და საარჩევნო ბიულეტენზე ხელმოწერილი კომისიის ორი წევრის ხელმოწერით.

102. საარჩევნო უბანზე, სადაც კენჭისყრა ტარდება ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საარჩევნო ბიულეტენის ბათილად მიჩნევის საფუძველი?

- თუ საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით.
- თუ სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი.
- თუ შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
- თუ სპეციალური კონვერტი არის დადგენილი ნიმუშის. (69.3)

103. საარჩევნო უბანზე, სადაც კენჭისყრა ტარდება ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე, რა შემთხვევაში მიიჩნევა საარჩევნო ბიულეტენი ბათილად?

- თუ სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილი რაოდენობის ბიულეტენი.
- თუ საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში მოთავსებულია დადგენილი ნიმუშის სპეციალური კონვერტით.
- თუ საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებულია ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით.
- თუ საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისათვის. (69.3.ვ)

104. საარჩევნო უბანზე, სადაც კენჭისყრა ტარდება ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე, ხმის დათვლის პროცესში საექვოდ მიჩნეული ბიულეტენების ნამდვილობის საკითხს წყვეტს:

- ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრით.
- შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრით.
- საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრით. (69.5)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

105. საარჩევნო უბნებზე, სადაც არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება, დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი ბათილად არ მიიჩნევა, თუ:

- გაფერადებულია ან/და მონიშნულია ერთზე მეტი საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების წინ არსებული შესაბამისი წრე.
- არ არის გაფერადებული ან/და მონიშნული არცერთი საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების წინ არსებული შესაბამისი წრე.
- გაფერადებულია ან/და მონიშნულია მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების წინ არსებული შესაბამისი წრე. (76<sup>4</sup>.5)
- ყველა პასუხი სწორია.

106. ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის ჩატარებისას, რომელი მსჯელობაა სწორი?

- ყოველი 10 საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით და ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა. (69.9)
- ყოველი 20 საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით და ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.
- ყოველი 15 საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით და ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.
- ყოველი 5 საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით და ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.

107. რომელი საარჩევნო უბნის საარჩევნო ბიულეტენები დაექვემდებარება ციფრულ ფორმატში გადაყვანას?

- იმ საარჩევნო უბნის საარჩევნო ბიულეტენები, სადაც არ იქნება განთავსებული საარჩევნო ბიულეტენების ელექტრონული მთვლელი აპარატი (76<sup>7</sup>.1)
- იმ საარჩევნო უბნის საარჩევნო ბიულეტენები, სადაც განთავსებული იქნება საარჩევნო ბიულეტენების ელექტრონული მთვლელი აპარატი.
- ყველა საარჩევნო უბნის საარჩევნო ბიულეტენები, განურჩევლად იმისა, იქნება თუ არა განთავსებული საარჩევნო ბიულეტენების ელექტრონული მთვლელი აპარატი.
- არც ერთი საარჩევნო უბნის საარჩევნო ბიულეტენები არ ექვემდებარება ციფრულ ფორმატში გადაყვანას.

## X თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა

108. სად უნდა აისახოს კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები?

- მხოლოდ ცესკოს კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.

- მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.
- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.
- ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში. (70.1)

109. საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი:

- არ არის სამართლებრივი აქტი.
- საინფორმაციო დოკუმენტია, რომელსაც არ აქვს იურიდიული ძალა.
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტია. (70.2)
- არჩეული დეპუტატის უფლებამოსილების დამადასტურებელი სამართლებრივი აქტია.

110. ვინ არის პასუხისმგებელი საუბნო საარჩევნო კომისიაში შემაჯამებელი ოქმების შენახვასა და მათი დანიშნულებისამებრ გაცემაზე?

- საარჩევნო კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოვლენილი მთვლელები.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. (70.7)
- საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირი.

111. ვინ ავსებს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს?

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. (71.1)
- საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

112. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი იურიდიული ძალის მქონეა, თუ მას ხელი მოაწერა:

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ. (71.6<sup>1</sup>)
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხუთმა წევრმა მაინც.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა.
- საუბნო საარჩევნო კომისიის შვიდმა წევრმა მაინც.

113. რომელი მსჯელობაა სწორი?

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, ხოლო თუ იგი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, უფლება აქვს ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი. (71.4; 71.5)
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, ხოლო თუ იგი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, თვითონ უნდა შეადგინოს განსხვავებული ოქმი.

- თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, უფლებამოსილია ხელი არ მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
- თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, ვალდებულია ხელი არ მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

114. ვის პასუხისმგებლობას იწვევს შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება?

- მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის. (70.3)
- კომისიის მთელი შემადგენლობის.

115. შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება:

- არ არის აკრძალული.
- შეიძლება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობით.
- შეიძლება საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით.
- აკრძალულია. (70.3)

116. თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას შეცდომა იქნა დაშვებული, საარჩევნო კომისიამ:

- უნდა შეადგინოს შესწორების ოქმი. (70.4)
- უნდა შეადგინოს შემაჯამებელი ოქმის მეორე ეგზემპლარი.
- უნდა ჩაასწოროს მონაცემი შემაჯამებელი ოქმში.
- უნდა შეადგინოს ახსნა-განმარტების ოქმი.

117. რომელი მსჯელობაა სწორი?

- შესწორების ოქმზე ხელის მოწერისგან თავის შეკავება შეუძლია კომისიის იმ წევრს, რომელიც არ ეთანხმება შესწორების ოქმს.
- შესწორების ოქმზე ხელის მოწერისგან თავის შეკავება შეუძლია კომისიის იმ წევრს, რომელიც ეჭვს შეიტანს საარჩევნო კომისიის მოქმედების კანონიერებაში.
- შესწორების ოქმზე ხელმოწერის ვალდებულება ეკისრება კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრს. (70.4)
- შესწორების ოქმზე ხელმოწერის ვალდებულება კანონით არ არის გათვალისწინებული.

118. რომელი მსჯელობა არის სწორი?

- ძირითადი საარჩევნო უბნისა და გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საარჩევნო უბნის შედეგები ფორმდება ცალ-ცალკე შემაჯამებელი ოქმებით.
- ძირითადი საარჩევნო უბნისა და გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საარჩევნო უბნის შედეგები ფორმდება ერთი შემაჯამებელი ოქმით. (67.8)
- ძირითადი საარჩევნო უბნისა და გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საარჩევნო უბნის შედეგები შესაძლებელია გაფორმდეს ერთი ან ორი შემაჯამებელი ოქმით.
- გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საარჩევნო უბნის შედეგები არ ფორმდება შემაჯამებელი ოქმით.

119. რომელია სწორი მსჯელობა?

- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია უზრუნველყოს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის.

- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის. (71.8)
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის.
- საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია უზრუნველყოს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის.

120. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი უნდა დამოწმდეს:

- ნოტარიული წესით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით. (71.8)
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ხელმოწერებითა და კომისიის ბეჭდით.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის ყველა წევრის ხელმოწერითა და კომისიის ბეჭდით.

121. კენჭისყრის ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ ვინ აწერს ხელს საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალს?

- ცესკოს თავმჯდომარე და საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი.
- საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი. (71.12)
- ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები.

122. მას შემდეგ, რაც საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი დაილუქება ცალკე პაკეტში, ვინ აწერს პაკეტს ხელს?

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხვა წევრები. (71.13)
- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე.
- საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები.

## XI თავი. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება

123. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ:

- ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს.
- ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს.
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ წარმომადგენლებს.
- ყველა პასუხი სწორია. (8.16)

124. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება არ აქვს:

- შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ მედიის წარმომადგენელს.
- შესაბამის კომისიაში რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელს.
- არჩევნებში მონაწილე კანდიდატს. (8.16)
- დამკვირვებელს.

125. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას კენჭისყრის დღეს ერთდროულად რამდენი წარმომადგენელი შეიძლება ჰყავდეს საარჩევნო უბანში?

- არაუმეტეს ოთხი.
- არაუმეტეს ორი. (44.5)
- არაუმეტეს სამი.
- არაუმეტეს ერთი.

126. ერთი და იმავე ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას უფლება აქვს საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს:

- ერთი დამკვირვებლისა. (39.3)
- ორი დამკვირვებლისა.
- ოთხი დამკვირვებლისა.
- ხუთი დამკვირვებლისა.

127. რამდენი საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ერთ საარჩევნო უბანზე?

- არაუმეტეს სამი საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით.
- არაუმეტეს ხუთი საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით.
- არაუმეტეს ათი საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით.
- არაუმეტეს ორი საერთაშორისო დამკვირვებლის მეშვეობით. (39.6)

128. ვინ უნდა ატარებდეს კენჭისყრის შენობაში ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს?

- მხოლოდ საარჩევნო კომისიის წევრი.
- მხოლოდ დამკვირვებლები.
- მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი. (8.17)

129. რისი უფლება არ აქვს დამკვირვებელს?

- გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე.
- აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ.
- ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი.
- ყველა პასუხი სწორია. (41.2)

130. ჩამოთვლილთაგან რისი უფლება აქვს დამკვირვებელს?

- ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა.
- კენჭისყრის დღეს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში სამკერდე ნიშნის გარეშე.
- კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის რეგისტრირებულ წარმომადგენელს. (41.1.გ)
- მოუწოდოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერისკენ.

131. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს აქვთ თუ არა ფოტოვიდეოგადაღების უფლება კენჭისყრის შენობაში?

- დიახ, აქვთ უფლება აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება როგორც კენჭისყრის კაბინაში, ისე მის გარეთ.

- არა, საარჩევნო კოდექსით არავის აქვს უფლება კენჭისყრის შენობაში აწარმოოს ფოტოვიდეოგადაღება.
- დიახ, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება კენჭისყრის შენობაში. (8.25)
- არა, მხოლოდ ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს აქვთ უფლება კენჭისყრის შენობაში აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება.

132. რომელი მსჯელობა არის სწორი?

- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალული არ არის წინასაარჩევნო აგიტაცია.
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში არ არის აკრძალული წინასაარჩევნო აგიტაცია, იმ შემთხვევაში, თუ ქმედებას ახორციელებს პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია. (45.11)
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში არ არის აკრძალული წინასაარჩევნო აგიტაცია, იმ შემთხვევაში, თუ ქმედებას ახორციელებს პარტიის მიერ დანიშნული წარმომადგენელი.

## XII თავი. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა

133. ვინ არის პასუხისმგებელი კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვაზე?

- პატრულის თანამშრომლები.
- მანდატურები.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. (59.1)
- ცესკო.

134. კენჭისყრის შენობიდან საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის გაძევების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს:

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთპიროვნულად.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საოლქო საარჩევნო კომისიასთან შეთანხმებით.
- საუბნო საარჩევნო კომისია. (59.5)
- საოლქო საარჩევნო კომისია.

135. რომელ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს საუბნო საარჩევნო კომისია?

- კენჭისყრის შეწყვეტის გადაწყვეტილების დადასტურების შესახებ.
- საარჩევნო უბნის დროებით ჩაკეტვის გადაწყვეტილების დადასტურების შესახებ.
- კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვასთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.
- არჩევნების მეორე დღისათვის გადადების შესახებ. (60.3)

136. ვინ იღებს გადაწყვეტილებას კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის შემდეგ კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ?

- ერთპიროვნულად იღებს ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
- ხმების უმრავლესობით იღებს საუბნო საარჩევნო კომისია.
- ხმების უმრავლესობით იღებს ცესკო.
- ერთპიროვნულად იღებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. (60.3)

137. თუ კენჭისყრა შეწყვეტილად გამოცხადდა:

- იგი აღარ განახლდება. (60.4)
- იგი განახლდება ამავე საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.
- იგი განახლდება ამავე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.
- იგი განახლდება ზემდგომი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.

### XIII თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენცია კენჭისყრის დღეს განცხადებების/საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით

138. ვის აქვს უფლება, საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნა, პრეტენზია და საჩივარი ასახოს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში?

- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მოადგილეს.
- მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს და მდივანს.
- მხოლოდ ამომრჩევლებს.
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს. (62.9)

139. სად აისახება საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესისა და კენჭისყრის მიმდინარეობის თაობაზე პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები?

- არჩევნების შემაჯამებელ ოქმში.
- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. (62.1)
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში.
- სპეციალურ ოქმში.

140. დამკვირვებელთაგან გამოვლენილ მეთვალყურეებს უფლება აქვთ, დააკვირდნენ დათვლის მთელ პროცედურას, მიუთითონ შეცდომაზე, მოითხოვონ შეცდომის გასწორება. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეთვალყურეებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედება:

- ცესკოში.
- ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში. (69.2)
- პირდაპირ სასამართლოში.
- ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში ან პირდაპირ სასამართლოში.

141. როდის უნდა იქნეს შედგენილი კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ განცხადება/საჩივარი საარჩევნო უბანზე:

- კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.
- კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 8 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.
- კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე. (73.1)
- კანონის დარღვევის შემჩნევიდან არა უგვიანეს 24 საათის განმავლობაში.

142. საუბნო საარჩევნო კომისია/საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია განცხადებაზე/საჩივარზე, რომელიც ეხება ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილ დარღვევებს, მოახდინოს სათანადო რეაგირება:

- კენჭისყრის დღიდან 1 დღის განმავლობაში.

- კენჭისყრის დღიდან 2 დღის განმავლობაში.
- დაუყოვნებლივ (73.3)
- დარღვევის ჩადენიდან 12 საათის განმავლობაში.

143. განცხადება/საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანილად ითვლება:

- საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის მომენტიდან.
- საუბნო საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის მომენტიდან. (77.8)
- განცხადებაზე/საჩივრის შედგენის მომენტიდან.
- განცხადებაზე/საჩივარზე შესაბამისი რეზოლუციის დადების თარიღიდან.

#### XIV თავი. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის/ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის ზომები

144. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ დისციპლინური გადაცდომისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომა:

- შენიშვნა.
- გაფრთხილება.
- თანამდებობრივი სარგოს/თანამდებობრივი სარგოს ნაწილის დაკავება.
- ყველა პასუხი სწორია. (28.2)

145. ვის დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორების გამო?

- საუბნო საარჩევნო კომისიის სრულ შემადგენლობას.
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან/და მდივანს. (87)
- საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან/და მდივანს.
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არ იწვევს.

146. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს/კომისიის ხელმძღვანელ პირებს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ:

- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირისათვის ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შეტანაში ხელის შეშლის გამო.
- ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედიის წარმომადგენლების საარჩევნო კოდექსით დადგენილი უფლებების შეზღუდვის ან მათი საქმიანობისათვის ხელის შეშლის გამო.
- წინასაარჩევნო აგიტაციაში საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით მონაწილეობის გამო.
- ყველა პასუხი სწორია. (79, 90, 91)